საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 7 15 00992048

29/09/2015

ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრს

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროში შემოსული თქვენი 29/09/2015 წლის N985350 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხის საჯარო სკოლამ, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს 14/09/2015წ. N889963 წერილის გათვალისწინებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ბალანსზე რიცხული ამორტიზებული შენობა-ნაგებობის ჩამოწერა და დემონტაჟი განახორციელოს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრის თანხმობის შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ნებართვის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2010წ. 22 მარტის N82 და 2010წ. 13 აგვისტოს N239 დადგენილებებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

დემონტაჟი საჭიროა განხორციელდეს „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების შესაბამისად, უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

დამატებით გაცნობებთ, რომ სადემონტაჟო სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, შენობის დემონტაჟთან დაკავშირებული ყველა ეტაპი და საორგანიზაციო საკითხები უნდა შეთანხმდეს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან.

ეკონომიკური დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ლაშა საღინაძე

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32) 2 200 220

საქართველო
განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო

ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო
რესურსცენტრი

საიდენტიფიკაციო კოდი: 219984774

GEORGIA
MINISTRY OF EDUCATION
AND SCIENCE

RESOURCECENTRE
EDUCATIONAL OF ZUGDIDI

Identification Code: 219984774

30/09/2015

MES 8 15 00992373

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხის საჯარო სკოლის დირექტორს
ბატონ გოგი თოდუას

ბატონო გოგი,

თქვენი 2015 წლის 08 სექტემბრის N862887 წერილის პასუხად, რომლითაც ითხოვდით, სკოლის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი 43.10.45.015 – გაშენების ფართი 130,2 კვ.მეტრი), საფრთხისშემცველი ყოფილი საქვაბის ავარიული შენობის დემონტაჟზე ნებართვის მიღებას, წარმოგიდგენთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის 2015 წლის 29 სექტემბრის N992048 წერილობით პასუხს (იხ.: საფუძველი).

პატივისცემით,

სამეგრელოსა და ზემო სვანეთის საგანმანათლებლო
რესურსცენტრი / ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო
რესურსცენტრი
რესურსცენტრის უფროსი
გონერი პაპავა

გპაპავა

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

MES 8 15 00889963

14/09/2015

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსს
ბატონ ლაშა საღინაძეს

ბატონო ლაშა,
თქვენი N329098 წერილის საფუძველზე, თანდართული ცხრილის მიხედვით, ჩატარდა **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლების ბალანსზე რიცხული დაზიანებული შენობა-ნაგებობების ვიზუალური დათვალიერება მათი ვარგისიანობის დადგენის მიზნით.**

1.სოფელ რუხის საჯარო სკოლის (საკადასტრო კოდი 43.10.45.015) საქვაბის შენობა (საკადასტრო გეგმაზე 03) აშენებულია 1973 წელს. საქვაბის შენობა გეგმაში 6.0X20.0 მ ზომისაა. კედლები წვრილი ბლოკითაა ნაშენი. დახურვა განხორციელებულია რ/ბ წიბოვანი ფილებით. სახურავი ბრტყელია. საქვაბის კედლები ცვეთაგანცდილი და ჩამოშლილია. წიბოვანი ფილების არმატურა კოროზირებულია. კედლების და ფილების ზედაპირი გამწვანებულია.
სოფელ რუხის საჯარო სკოლის საქვაბის შენობა (03) ექვემდებარება დემონტაჟს.

2.ქალაქ ზუგდიდის N2 საჯარო სკოლის (საკადასტრო კოდი 43.31.49.004) საქვაბის შენობა აშენებულია 1940 წელს. გეგმაში 6.0X12.5 მ ზომის შენობის კედლები წვრილი ბლოკითაა ნაშენი. საქვაბის შენობა რ/ბ წიბოვანი ფილებითაა დახურული. სახურავი ბრტყელია. საქვაბის შენობის კედლები ცვეთაგანცდილი და დაბზარულია. დახურვის ფილების არმატურა კოროზირებულია.
1995 წელს აშენებული სანკვანძის შენობა გეგმაში 6.1X7.3 მ ზომისაა. კედლები წვრილი ბლოკითაა ნაშენი. დახურვა განხორციელებულია რ/ბ ღრუტანიანი ფილებით. სახურავი ბრტყელია. სკოლის ეზოში მდგარი უფუნქციო სანკვანძი გადაქცეულია ანტისანიტარიის ბუდედ. დაწყებულია მიტოვებული სანკვანძის დაშლის პროცესი.
ქალაქ ზუგდიდის N2 საჯარო სკოლის საქვაბის და სანკვანძის შენობა სადემონტაჟოა.

3.ქალაქ ზუგდიდის N6 საჯარო სკოლის (საკადასტრო კოდი 43.31.72.043) სასროლეთის (03) და ძველი საქვაბის (02) შენობა აშენებულია 1988 წელს.
სასროლეთის შენობა გეგმაში 4.0X27.0 მ ზომისაა. კედლები წვრილი ბლოკითაა ნაშენი. სასროლეთის შენობა არ არის გადახურული. ამჟამად უფუნქციო შენობა მწვანე ნარგავებითაა შევსებული.
ძველი საქვაბის შენობა გეგმაში 5.0X10.0 მ ზომისაა. კედლები წვრილი ბლოკითაა ნაგები. გადახურვა განხორციელებულია რ/ბ ღრუტანიანი ფილებით. სახურავი ბრტყელია. საქვაბის შენობის კედლები ცვეთაგანცდილი და ჩამოშლილია. დახურვის ფილების არმატურა გაშიშვლებული და კოროზირებულია.

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
თბილისი 0160, მერაბ ალექსიძის ქ. №1, შენობა-ნაგებობა №1, სართული 2
ცხელი ხაზი, ტელ/Tel.: (+995 32) 220 0 220 2023
www.esida.ge E-mail: info@esida.ge

ქალაქ ზუგდიდის N6 საჯარო სკოლის სასროლეთის (03) და საქვაბის (02) შენობა სადემონტაჟოა (აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სკოლის ახალი საქვაბე ძველ საქვაბესთან თავისი კედლის გარეშეა მიშენებული, რის გამოც ძველი საქვაბის დემონტაჟის დროს უნდა შენარჩუნდეს მისი ახალი საქვაბის მხარეს არსებული კედელი).

4.სოფელ ახალაბასთუმნის საჯარო სკოლის (საკადასტრო კოდი 43.15.41.005) ყოფილი სანკვანძის შენობა (04) აშენებულია 1970 წელს. სანკვანძის შენობა გეგმაში 2.0X5.0 მ ზომისაა. კედლები წვრილი ბლოკითაა ნაშენი. ხის სახურავი აზბესტცემენტის შიფერითაა დაფარული. სანკვანძის შენობის კედლები და სახურავი ნაწილობრივ დაშლილია.
სოფელ აბასთუმნის საჯარო სკოლის სანკვანძის შენობა (04) ექვემდებარება დემონტაჟს.

5.სოფელ დარჩილის N1 საჯარო სკოლის (საკადასტრო კოდი 43.25.43.006) ავტოფარეხის შენობა (03) აშენებულია 1970 წელს. ავტოფარეხის შენობა გეგმაში 9.0X13.0 მ ზომისაა. კედლები წვრილი ბლოკითაა ნაშენი. დახურვა განხორციელებული იყო რ/ბ ღრუტანიანი ფილებით. ავტოფარეხის კედლები გადახსნილია. დახურვის ფილები დემონტირებულია.
სოფელ დარჩილის საჯარო სკოლის ავტოფარეხის შენობა (03) ექვემდებარება დემონტაჟს.

6.სოფელ დიდინეძის საჯარო სკოლის (საკადასტრო კოდი 43.26.42.002) სანკვანძის შენობა (03) გეგმაში 4.2X5.5 მ ზომისაა. ამჟამად სანკვანძის შენობიდან დარჩენილია მხოლოდ თეთრი აგურით ნაშენი კედლები. კედლების ცვეთის ხარისხი ძალზე მაღალია. მცენარეთა ფესვები კედლებთანაა შეზრდილი.
სოფელ დიდინეძის საჯარო სკოლის სანკვანძის შენობა (03) ექვემდებარება დემონტაჟს.

7.სოფელ ორულუს საჯარო სკოლის (საკადასტრო კოდი 43.27.41.024) საქვაბის (04) და სახელოსნოს (02) შენობა აშენებულია 1974 წელს.
საქვაბის შენობა (04) გეგმაში 5.0X6.0 მ ზომისაა. კედლები თეთრი აგურითაა ნაშენი. დახურვა განხორციელებულია რ/ბ ღრუტანიანი ფილებით. საქვაბის საკვამლე მილი 16 მ სიმაღლისაა. საქვაბის შენობის კედლების ცვეთის ხარისხი მაღალია. დახურვის ფილების არმატურა კოროზირებულია.
სახელოსნოს შენობა (02) წითელი აგურითაა ნაშენი. სახურავი და იატაკი ხისაა. შენობის მზიდ კედლებს რაიმე მნიშვნელოვანი დაზიანება არ აღენიშნება. ხის კონსტრუქციები საჭიროებენ აღდგენა-რეაბილიტაციას.
სოფელ ორულუს საჯარო სკოლის საქვაბის შენობა (04) სადემონტაჟოა, სახელოსნოს შენობა(02) ექვემდებარება აღდგენას.

8.სოფელ ონარიის საჯარო სკოლის (საკადასტრო კოდი 43.14.43.124) საქვაბის (02/1) და ორი სანკვანძის (03/1 და 04/1) შენობა აშენებულია 1984 წელს.
საქვაბის შენობა გეგმაში 9.0X25.0 მ ზომისაა. კედლები წვრილი ბლოკითაა ნაგები. დახურვა განხორციელებულია რ/ბ წიბოვანი ფილებით. სახურავი ბრტყელია. საქვაბეს გააჩნია საკვამლე (მიწაზე დაწვენილი) მილი და ლითონის რეზერვუარი (20 მ3). საქვაბის შენობის კედლების ცვეთის ხარისხი მაღალია. დახურვის ფილები დაბზარულია, არმატურა კოროზირებულია.
სეპტიკზე დაშენებული სანკვანძის შენობა (03/1) გეგმაში 6.0X9.0 მ ზომისაა. კედლები წვრილი ბლოკითაა ნაგები. სეპტიკის გადახურვის (6 მ სიგრძის) რ/ბ ღრუტანიან ფილებზე დაშენებული შუა კედელი წარმოადგენს სანკვანძის დახურვის (3 მ სიგრძის) რ/ბ ფილების საყრდენს. სეპტიკის, მნიშვნელოვნად დატვირთული გადახურვის ფილები (ფილებში

ხვრელების მოწყობის გამო) დაზიანებულია, მათი არმატურა გადაჭრილი და კოროზირებულია. აღნიშნული გარემოება მოსწავლეთათვის საფრთხის შემცველია. ამასთან ერთად დაზიანებულია სანკვანძის შენობის კედლები და დახურვის ფილები (კედლები ცვეთაგანცდილია, ფილების არმატურა კოროზირებულია).
მცირე ზომის (გეგმაში 3.5X6.0 მ) სანკვანძის შენობის (04/1) სეპტიკი მონოლითური ფილითაა გადახურული. კედლები წვრილი ბლოკითაა ნაგები. დახურვა განხორციელებულია რ/ბ ფილებით. სანკვანძის შენობის კონსტრუქცია ამორტიზებულია.
სოფელ ონარიის საჯარო სკოლის საქვაბის (02/1) და სანკვანძის (03/1) შენობა ექვემდებარება დემონტაჟს, მცირე ზომის სანკვანძის შენობის (04/1) აღდგენა შესაძლებელია.

9. სოფელ რიყეს საჯარო სკოლის (საკადასტრო კოდი 43.09.02.001) საქვაბის (03), სახელოსნოს (02) და სანკვანძის (04) შენობები აშენებულია 1970 წელს.
საქვაბის შენობა (03) გეგმაში 5.5X6.0 მ ზომისაა. კედლები თეთრი აგურითაა ნაშენი. დახურვა განხორციელებულია რ/ბ ღრუტანიანი ფილებით. საქვაბის შენობის კედლების ცვეთის ხარისხი ძალზე მაღალია. დახურვის ფილების არმატურა კოროზირებულია.
სახელოსნოს (02) შენობიდან (გეგმაში 12.5X20.5 მ) დარჩენილია მხოლოდ წვრილი პემზის ბლოკით ნაშენი კედლების ნაწილი.
სანკვანძის შენობა (04) გეგმაში 4.0X7.0 მ ზომისაა. კედლები თეთრი და წითელი აგურითაა ნაშენი. ხის სახურავი დაფარულია აზბესტცემენტის შიფერით. მიტოვებული სანკვანძის შენობის კედლები ცვეთაგანცდილია. ხის სახურავი ჩანგრევის ზღვარზეა მისული. სანკვანძის შენობა წარმოადგენს ანტისანიტარიის ბუდეს.
სოფელ რიყეს საჯარო სკოლის საქვაბის (03), სახელოსნოს (02) და სანკვანძის (04) შენობა ექვემდებარება დემონტაჟს.

10. სოფელ ჭაქვინჯის საჯარო სკოლის მეორე კორპუსის (საკადასტრო კოდი 43.06.42.417) სახელოსნოს შენობა (02/1) აშენებულია 1972 წელს. შენობა გეგმაში 9.0X12.0 მ ზომისაა. საძირკველი ბეტონისაა. შენობის ფართის ნაწილში (2.5X12.0 მ) გადახურული აივანია განთავსებული; ნაწილში - წვრილი ბლოკით ნაშენი ოთახი (3.0X5.0 მ); დარჩენილ ნაწილში ხის ნაგებობაა განთავსებული. შენობის ხის კონსტრუქცია დაზიანებულია: დამპალია მერქანი; ჩამოშლილია კედლების და სახურავის ნაწილი. ღრუტანიანი ფილებით დახურულ, ბლოკიით ნაშენ ოთახს რაიმე მნიშვნელოვანი დაზიანება არ აღენიშნება (ოთახის შენარჩუნებას ითხოვს სკოლის დირექტორი).
სოფელ ჭაქვინჯის საჯარო სკოლის მეორე კორპუსის სახელოსნოს შენობის ხით ნაშენი ნაწილი ექვემდებარება დემონტაჟს, წვრილი ბლოკით ნაშენი ოთახის აღდგენა შესაძლებელია.

11. სოფელ ჯიხაშკარის N1 საჯარო სკოლის (საკადასტრო კოდი 43.05.41.163) საქვაბის შენობა (02/1) აშენებულია 1969 წელს. საქვაბის შენობა გეგმაში 5.0X6.0 მ ზომისაა. კედლები წითელი აგურითაა ნაშენი. დახურვა განხორციელებულია რ/ბ ღრუტანიანი ფილებით. სახურავი ბრტყელია. საქვაბის შენობის კედლების ზედაპირი ჩამოშლილია. დახურვის ფილების არმატურა კოროზირებულია.
სოფელ ჯიხაშკარის N1 საჯარო სკოლის საქვაბის შენობა,(02/1) ექვემდებარება დემონტაჟს.

პატივისცემით,

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
დირექტორის მოადგილე
თეიმურაზი მაჩაიძე